



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 0 22 0000878350



05/08/2022

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო
საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული
ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.4. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ

დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 18 დეკემბრის №253 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია.

2.2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის №151768 ოქმის (15/02/2022) საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს განესაზღვრა 60 დღიანი ვადა „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

2.3. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის 18 აპრილის №397135 და 2022 წლის 3 მაისის №441127 განაცხადებების საფუძველზე, ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება. აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოება შეეხებოდა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშს.

2.4. „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2022 წლის 25 მაისის №532363 ბრძანების შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

2.5. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამაშეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	-			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓ შემოწმდა მხოლოდ 2.1; 2.3 და 2.6 სტანდარტი			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	-			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	-			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓ შემოწმდა მხოლოდ 5.2 სტანდარტი			

2.6. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.7. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2022 წლის 22 ივლისს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 16 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:


1. შეწყდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდეს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით;
3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 5 აგვისტოს №878033 სხდომის ოქმის №3 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
5. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 5 აგვისტოს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	18.12.2019 გადაწყვეტილება N253
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი; სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტისა.
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4600, ქ.ქუთაისი, თამარ მეფის 59.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2022 წლის 5 აგვისტო
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	28/02/2023 (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 ივნისის №739908 ბრძანება)